# ხობის მოამბე

№10 (7135) 14 აგვისტო, შაბათი, 2021 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

**02/08/01 2021 წლის 2 აგვისტო ქ.თბილისი**
**მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 133-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2021 წლის 2 ოქტომბერს.

***საქართველოს პრეზიდენტი***
***სალომე ზურაბიშვილი***

## „ქართულმა ოცნებამ“ მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად ხობში დავით ბუკია წარადგინა



ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ, მოადგილე ნინო ვიბლიანმა და პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რეგიონალურმა კოორდინატორმა დავით გვიშიანმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხობის მერობის კანდიდატი დავით ბუკია გუნდის წევრებს წარუდგინეს.

პარტიის ლიდერებმა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს არჩევნებში ღირსეული გამარჯვება და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

მერობის კანდიდატმა მმართველ გუნდს და ხობელებს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

–„ხობის მერობის კანდიდატად ჩემი დასახელება ჩემთვის დიდი პატივია და ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაა. მჯერა, რომ მმართველი გუნდის მხრიდან ქვეყნისთვის და ხობის მუნიციპალიტეტისთვის ბევრი რამ გაკეთდა და მათი თანადგომით მეც საკუთარ წვლილს შევიტან ჩვენი მუნიციპალიტეტის უფრო მეტად განვითარებაში. ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ“–აღნიშნა მერობის კანდიდატმა ბატონმა დავით ბუკიამ.

## ცოტნეობა – 2021




12 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიამ წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღე აღნიშნა.

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, იქ სადაც გადმოცემის თანახმად ცოტნე დადიანია დაკრძალული, წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

ცოტნე დადიანი წმინდანად 1999 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით შეირაცხა.

„ცოტნეობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ წირვას მრევლთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდა.

ქ. ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც წმინდა ცოტნე აღმსარებლის (დადიანი) ხსენებას მიეძღვნა.

კონფერენციის მომხსენებლები იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გელა მამფორია და ისტორიკოსი, მკვლევარი გოგიტა ჩიტაია. რომლებმაც წარმოადგინეს თემები „ცოტნე დადიანის სახე ქართულ ლიტერატურაში“ და „ხობი–ცოტნეს ქალაქი“.

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## აგვისტოს ომიდან 13 წელი გავიდა...



**8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს.**

**მემორიალი ყვავილებით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.**

**მემორიალთან გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, გოგიტა ქარჩავას და რამაზ კიტიას სახელთა უკვდასაყოფად ფოტო გამოფენა–„აგვისტოს გმირები“ მოეწყო.**

**საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა კირიონმა (დარასელია) გადაიხადა.**

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

10 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

დღის წესრიგით მომდევნო საკითად განხილულიქნა განკარგულების პროექტი: „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:



სხდომაზე განხილულიქნა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის ¹8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ინიციირებული პროექტების დაფინანსების წყარო, ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული პროექტების დაფინანსებისთვის (თანადაფინანსებისთვის) გათვალისწინებულიქნა თანხა 10 000 ლარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# განკარგულება №18

**2021 წლის 10 აგვისტო ქ. ხობი**

**მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, 58-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს №02/08/01 განკარგულების შესაბამისად:**

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) **ქ. ხობში**–№1 ბაგა-ბაღის შენობა–ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქუჩა 204.

ბ) **ქ. ხობში** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობა–ქ. ხობი ზ. გამსახურდიას ქუჩა №12;

გ) **ნოჯიხევის** №2 საბავშვო ბაღის შენობა-სოფელი ნოჯიხევი;

დ) **პატარა ფოთის** ადმინისტრაციული შენობა–სოფელი პატარა ფოთი;

ე) **საჯიჯაოს** კულტურის სახლი– საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული;

ვ) **გაღმა საჯიჯაოს** ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა–სოფელი გაღმა საჯიჯაო;

ზ) **ქარიატის** სასოფლო კლუბის შენობა–სოფელი ქარიატა;

თ) **ჭალადიდის** ბიბლიოთეკის შენობა–ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული;

ი) **ყულევის** სასოფლო კლუბის შენობა–სოფელი ყულევი, იმედის ქუჩა 180;

კ) **პირველი** მაისის საბავშვო ბაღის შენობა-პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული;

ლ) **ჭალადიდის** საბავშვო ბაღის შენობა-ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული.

მ) **ძველი ხიბულის** საბავშვო ბაღის შენობა–ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული;

2. საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) **ქ. ხობში**–ხობის კულტურის სახლის შენობა;

ბ) **ახალი ხიბულის** ადმინისტრაციულ ერთეულში–სოფელ ზუბის კლუბის შენობა;

გ) **ბიის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

დ) **ზემო ქვალონის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ე) **თორსა-ღვაბის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ვ) **ქვემო ქვალონის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

ზ) **შუა ხორგის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

თ) **ჭალადიდის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ი) **ხეთის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

კ) **საგვიჩიოს** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ლ) **ძველი ხიბულის** ადმინისტრაციულ ერთეულში–ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2021 წლის 10 აგვისტოდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. 3).

***ედიშერი ჯობავა,***
***საკრებულოს თავმჯდომარე***

# ქალაქ ხობში, კოლხეთის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.



გზის რეაბილიტაციის პროცესს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია და ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

გზის რეაბილიტაციის ინიციატივით მერიას კოლხეთის დასახლებაში მცხოვრებლებმა მომართეს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 225000 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარა-გზამშენი პირველი“ აწარმოებს.

პარალალეურად გზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო ქვალონსა და გაღმა საჯიჯაოში მიმდინარეობს.

# გზების რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა



ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ ჭალადიდის (საბაჟო) და ახალი ხიბულის (სავარდიოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოაცხადა.

შესყიდვის სავარაუდო ჯამური ღირებულება 2 მილიონ 495 ათას ლარს შეადგენს.

ოფიციალური გვერდი

# №66 ხობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები და საზღვრები



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება №05/2021

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისათვის თვითმმართველი თემის ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისა და მათი საზღვრების, სახელწოდებებისა და ნომრების დადგენის შესახებ

ქ.ხობი 2021 წლის 16 ივლისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 140-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** შეიქმნას მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისათვის თვითმმართველი თემის-ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები და დადგინდეს მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ჯემალი შეროზია

კომისიის მდივანი სოფიო პერტია

## დანართი
## №66 ხობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები და საზღვრები
## კომისის 09.07 2021 წლის №04/2021 განკარგულებისა

### №01 ქ. ხობის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქ. ხობის ტერიტორია: მისამართის გარეშე, 9 აპრილის ქუჩა, ჟ.შარტავას (ყოფ. ლ. ბერიას) ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა (ყოფ. წმ. გიორგის) №186, 189/4, 190, 191,192, 193, 195, 195ა, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 204, 206, 206/38, 208, 210, 210/18, 212, 214, 218, 220, 222, 224, 224/6, 236, 238, 238/20, 238/29, 240, 240–1, 240/3, 240/9, 240/27, 240/32, 240/50, 242, 242/13, 244, 244/9, 246–15; დავით აღმაშენებლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩის მე–3 შესახვევი 3, დავით აღმაშენებლის ქუჩის 1-ლი ჩიხი 1, დავით აღმაშენებლის ქუჩის მე-2 ჩიხი 2, 4, ვაჟა–ფშაველას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა, ზ.გამსახურდიას (ყოფ.სტალინის) ქუჩა №1, 1/17, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20(20კ), 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29, 30,31, 33,34ა, 35, 73,81, სულხან–საბას (ყოფ. გაგარინის) ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა.

### №02 ქ. ხობის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქ. ხობის ტერიტორია: გოგებაშვილის (ყოფ. ენგელსის )ქუჩა, გორგასლის (ყოფ. მელიორატორების) ქუჩა, დ. გურამიშვილის ქუჩა, ი. ვეკუას ქუჩა, თაყაიშვილის ქუჩა, მ. იოსავას (ყოფ. ნუცუბიძის) ქუჩა, დ. მეგრელის ქუჩა, თამარ მეფის სანაპირო (ყოფ. თამარ მეფის, (ყოფ. სანაპირო) ქუჩა), ა. მირცხულავას (ყოფ. ჩიქობავას) ქუჩა, მშვიდობის (ყოფ. მუსხელიშვილის) ქუჩა, სამეგრელო ქუჩა, ა. ყაზბეგის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, სასტ. „ კოლხეთ"–ში, ინვალიდთა ლიგის შენობაში, მეთესლეობის კანტორაში, მუსიკალურ სკოლაში, რესტორან „დიმილში", სახანძროში, სკოლა–ინტერნატში, შპს „ზომეს" შენობაში, შპს „საფ. კლუბი კოლხეთის" შენობაში, ბ/ბაღი №3–ში განთავსებული დევნილები.

### №03 ქ. ხობის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქ. ხობის ტერიტორია: აიეტის დასახლება (ყოფ. აიეტის ქუჩა), ბარათაშვილის ქუჩა, ტ. გრანელის ქუჩა, ც. დადიანის (ყოფ. წმ. გიორგის) ქუჩა №205, 207, 209, 211, 213, 223, 227, 228, 229, 231, 232, 234, 237, 239, 241, 243, 246, 248, 254, 258, 261, 283, 286, 338, 402, ერეკლეს მეორეს ქუჩა, 26 მაისის ქუჩა, გუბაზ მეფის ქუჩა, თ. სალაყაიას (ყოფ. ჭყონდიდელის ) ქუჩა №6, 8, თ. სახოკიას ქუჩა , ზ. ფალიაშვილის ქუჩა (ყოფ. გეგეჭკორის ქუჩა), თ. ქაჯაიას ქუჩა, ა. შანიძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, გ. ჭალადიდელის ქუჩა, გ. ჭყონდიდელის ქუჩა, შპს „შარა–გზამშენი №1–ში სახოკიას ქ. №1 ; ავტო – სატრანსპორტო საწარმო №8–ში სახოკიას №3; გაზკანტორის შენობაში, ინფექციურ საავადმყოფოში; კმკ – ს შენობაში სახოკიას №3; კოოპ. „გარანტის" შენობაში ჭყონდიდელის ქ. №9; მმკ 10–ის შენობაში ცოტნე დადიანის ქ №232; მმს შენობაში, მოძრავ მექანიზებული კოლონას შენობაში, პმკ №19 –ს შენობაში, საკონსერვო ქარხანაში, სამშენებლო სამმართველოს შენობაში, უსინათლოთა სახლში, წყალთა მეურნეობის შენობაში განთავსებული დევნილები.

### №04 ახ. ხიბულის საარჩევნო უბანი.

**საზღვრები:** ახალი ხიბულა თემი: ახალი ხიბულა, გაშფერდი, ზუბი.

მეურნეობა, ბ/ბაღი, წყალსაქაჩი

### №05 ახალსოფლის საარჩევნო უბანი.

**საზღვრები:** ახალსოფლის თემი: ახალი სოფელი, განთიადი,გალმა პირველი ხორგა. ქუჩა №1–ლი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №6-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №9, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №13, ქუჩა №14, ქუჩა №15, ქუჩა №16, ქუჩა №17, ქუჩა №18,

### №06 ბიის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ბიის თემი: ბია, ბია-საშონიო, ზემო ბია.

ბ/ბაღი, კანტორა

### №07 პირველი მაისის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** პირველი მაისის თემი:საკვიკვინიო,ჭიხუ,ბულიწყუ. ქუჩა №12, ქუჩა №12–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №12–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №12–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №13, ქუჩა №13–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №13–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №13–ის მე–4 ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №14–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №15, ქუჩა №15–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №17, ქუჩა №18, ქუჩა №18–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №18–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №18–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №19, ქუჩა №19–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №20–ის №1, 3, 7, 8, 10, 13, 14, 15, 17, 20, 22, 23, 25, 26, 28, 30, 31, 33, 36, 37, 38, 39, 40, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, ქუჩა №20–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №20–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №20–ის მე–4 ჩიხი, ქუჩა №21, ქუჩა №22, ქუჩა №23, ქუჩა №25, ქუჩა №25–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №25–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №26, ქუჩა №26–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №26–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №27. ლ. გოთუას ქ. 69, ლ. გოთუას 1-შესახვევი 1, 3, 5, ლ.გოთუას 1-ლი ჩიხი 1,3,7,11. ლ. გოთუას მე 2 ჩიხი 1,3,5,7,9 ლ. გოთუას ქ. 3, 4, 5, 6, 7, 8, 9,1 0,1 1, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 22, 25, 26, 27, 28, 30, 3132, 33, 34,35,36,37,38,39,40,41,42,43,44,45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 61, 65, 67, 69, 71, 75, 79, 81, 83, 85. ცოტნე დადიანის ქ 1, 4, 5, 6, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 23, 25. 6. დაფნარელის ქ 1,2,3,4,5. 6.დუმბაძის ქ 1, 2, 4, 5, 6, 10, 12, 14, 16, 18. სოფ.საკვიკვინიო ესტატე შუშანიას ქ.№40. ვაჟა-ფშაველას ჩიხი

1. ვაჟა-ფშაველას მე-2 ჩიხი 1, 5. ვაჟა-ფშაველას მე-3 ჩიხი 1, 3. ვაჟა-ფშაველას ქ 1, 2, 4, 5, 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 21, 23. თამარ მეფის მე-2 ჩიხი

2.თამარ მეფის ქუჩა 1, 2, 3, 4, 8, 10, 11, 12, 13, 14, 17, 18, 19. პ. კობახიძის 1-ჩიხი 1, 2. პ.კობახიძის მე-2 ჩიხი 4. პ. კობახიძის ქ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14. მ.ნაჭყებიას მე-2 ჩიხი 3, 5. მ. ნაჭყებიას მე-3 ჩიხი 1, 3, 5. მ.ნაჭყებიას ქ 1, 3, 5, 7, 9, 17, 21, 23, 25, 29, 31, 33, 35, 37, 39. წმინდა სოფიას ქ. 1, 3. სულხან -საბა ორბელიანის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8, 10. სულხან-საბა ორბელიანის მე-3 ჩიხი 1,2,4. სულხან-საბა ორბელიანის მე-4 ჩიხი 1.სულხას-საბა ორბელიანის ქ 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 18, 20, 24, 26, 27, 28, 30,31. გ.ტაბიძის 1 ჩიხი 1,2,4. გ.ტაბიძის ქ 1, 3, 4, 5, 6, 7, 9, 12, 13, 14, 15, 17. ე. შუშანიას მე-2 ჩიხი 5. ე. შუშანიას მე-3 ჩიხი 1,3. ე.შუშანიასმე4-ჩიხი 1,ე.შუშანიას ქ. 1, 2, 3, 7, 8,10, 13, 14, 15, 17, 20, 22, 23, 25, 26, 28, 30, 31, 33, 36, 37, 38, 39, 40, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51. აკ.წერეთლის 1-ჩიხი 2, 4. აკ.წერეთლის ქ 1. 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11, 13. ივ.ჯავახიშვილის ქ 2, 4. სოფ.ჭიხუ ლ.გოთუას ქ 69.

### №08 გურიფულის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ბ/ბაღი, სოფ. 1–ლი გურიფული: რ. ბახიას ქუჩა, რ. ბახიას ქუჩის 1–ლი შესახვევი, რ. ბახიას ქუჩის 1–ლი ჩიხი, წმ. ნინოს ქუჩა, წმ. კვირიკესა და ივლიტას ქუჩა, წმ. კვირიკესა და ივლიტას ქუჩის 1–ლი ჩიხი. სოფ. მე–2 გურიფული: თბილისის ქუჩა, თბილისის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, 26 მაისის ქუჩა.

### №09 ზემო ქვალონის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ზემო ქვალონის თემი: ზემო ქვალონი, საალანიო-საფაჩულიო, სახოჭოლავო. შ. რუსთაველის ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩის 1–ლი ჩიხი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩა, დ. აღმაშენებლის ქუჩა, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, სამასი არაგველის ქუჩა, სამასი არაგველის ქუჩის 1–ლი ჩიხი, სამასი არაგველის ქუჩის მე-2 ჩიხი, 9 აპრილის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ა. წერეთლის ქუჩის მე-2 ჩიხი, ჟ. შარტავას ქუჩა, ჟ. შარტავას ქუჩის 1-ლი შესახვევი, ჟ. შარტავას ქუჩის მე-2 შესახვევი, მ. კოსტავას ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩის 1–ლი ჩიხი, ც. დადიანის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა.

### №10 თორსა–დღვაბის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** თორსა–დღვაბის თემი. თორსა,

4

ოფიციალური გვერდი

# №66 ხობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები და საზღვრები

3 ◄

დღვაბა, საბუკიო.

მეურნეობა, მეურნეობა1, მეურნეობა2, მეურნეობა 3.

## №11 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** პროფტექნიკუმი, პროფტექნიკუმი 4, შპს „სტიმული", ბ/ბაღი ჩაის ფაბრიკის, ნოჯიხევის თემი: ნოჯიხევი, კუთხენონიხევი, ნაფოშტუ. ტაბიძის ქ №13.

## №12 პატარა ფოთის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. პატარა ფოთი: წმ. ბარბარეს ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, ვანის ქუჩა, სამეგრელოს ქუჩა, ფოთის ქუჩა, ფოთის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ფოთის ქუჩის მე–2 ჩიხი, კოკაიას ქუჩა, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა, ბაგა–ბაღში, ამბულატორიის შენობაში, ჯიშთა გამოცდის შენობაში განთავსებული დევნილები.

## №13 პირველი ხორგის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. პირველი ხორგა: თავისუფლების ქუჩა, იოანე ნათლისმცემლის ქუჩა, ა. მირცხულავას ქუჩა, ა. მირცხულავას ქუჩის 1–ლი შესახვევი, მირცხულავას მე–2 შესახვევი, ზ. ყუფუნიას ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, წმ. ნინოს ქუჩა, ბაგა–ბაღის შენობაში, მეურნეობის კანტორაში განთავსებული დევნილები.

## №14 საგვიჩიოს საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. საგვიჩიო: დავით აღმაშენებლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩის 1-ლი შესახვევი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა, კოლხეთის ქუჩა, რაჰიპ მამედოვის ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩა, კობა შუბითიძის ქუჩა, განთიადის ქუჩა.

## №15 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** საჯიჯაოს თემი:ზენი, ზუბი, ჯაპიშაქარი. ქუჩა №1–ლი, ქუჩა№1–ლის 1–ლი შესახვევი, ქუჩა№1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა№1–ლის მე–2 ჩიხი, ქუჩა№1–ლის მე–3 ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №3–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №8–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №9, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №12–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №13, ქუჩა №13–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №14–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №14–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №14–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №15–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №16, ქუჩა №17–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №19, ქუჩა №20, ქუჩა №21, ქუჩა №23, ქუჩა №23-ის 1-ლი შესახვევი, ქუჩა №23-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №23-ის მე-2 ჩიხი, ქუჩა №24, ქუჩა №25, ქუჩა №26, ქუჩა №28–ის 1, 3, 5, 7, ქუჩა №28–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №28–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №28–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №29, ქუჩა №31, საკრებულოს შენობაში, ჩაის ფაბრიკის ბინებში განთავსებული დევნილები.

## №16 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** საჯიჯაოს თემი: ზუბი, ჯაპიშაქარი. ქუჩა №17, ქუჩა №18, ქუჩა №18-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №22, ქუჩა №27, ქუჩა №28–ის 2, 4, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, 19, 21, 22, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35, 37, 39, 43, 45, 47,49, 53, 55, 57, ქუჩა №30, ქუჩა ყ30–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №32, ქუჩა №33, ქუჩა №33–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №33–ის მე–2 შესახვევი, ქუჩა №34, ქუჩა №34-ის 1-ლი შესახვევი, ქუჩა №35, ქუჩა №35–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №36, ქუჩა №37.

## №17 გალმა საჯიჯაოს საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** საჯიჯაოს თემი:გალმა საჯიჯაო. ქუჩა №38, ქუჩა №38–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №38-ის მე-2 ჩიხი, ქუჩა №39, ქუჩა №40, ქუჩა №40-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №41, ქუჩა №41–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №41–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №42, ქუჩა №42–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №43, ქუჩა №44, ქუჩა №45, ქუჩა №46.

## №18 ქარიატის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქარიატის თემი. გალმა ქარიატა, გამოღმა ქარიატა.

სოფ.ქარიატა გიგიბერიას ქუჩა

## №19 ქვემო ქვალონის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქვემო ქვალონის თემი: გიმოზგონჯილი, ბულიში, დურღენა.

ბ/ბაღში, მიტოვებულ სახლში, კოლხიდმშენის შენობაში, მოძრავ-მექანიზებული კოლონის შენობაში განთავსებული დევნილები.

## №20 შუა ქვალონის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქვემო ქვალონის თემი: ჭითაუშქური, გვიმარონი,გიმოზგონჯილი.

## №21 ჭალადიდის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ჭალადიდის თემი: საბაჟო, საქორქიო,სალვამიჩავო. მეურნეობის შენობაში, ბ/ბაღში, ნავთძიების შენობაში, წყლის მეურნეობის შენობაში განთავსებული დევნილები.

## №22 ყულევის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. ყულევი: იმედის ქუჩა, იმედის ქუჩის 1-ლი ჩიხი, მშვიდობის ქუჩა, მშვიდობის ქუჩის 1-ლი ჩიხი, მშვიდობის ქუჩის მე-2 ჩიხი.

## №23 შუა ხორგის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** შუა ხორგის თემი: გამოღმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა, ყორათი. დავით აღმაშენებლის ქუჩა, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩის 1-ლი ჩიხი, წმინდა გიორგის ქუჩის მე-2 ჩიხი, წმინდა გიორგის ქუჩის მე-3 ჩიხი, ცოტნე დადიანის ქუჩა, ზვიად დათუაშვილის ქუჩა, ზვიად დათუაშვილის ქუჩის 1-ლი შესახვევი, ზვიად დათუაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი, ზვიად დათუაშვილის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ნოდარ დუმბაძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, მერაბ კოსტავას ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩა, შოთა რუსთაველის ქუჩა, აკაკი წერეთლის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, ბაგა-ბაღში განთავსებული დევნილები.

## №24 ძველი ხიბულის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. ძველი ხიბულა.

## №25 ხამისქურის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ხამისქურის თემი: ხამისკური, საკუკავო, საქირიო. შოთა რუსთაველის ქუჩის №1, 10, 100, 101, 103, 105, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99.შ.რუსთაველის ქუჩის I ჩიხი №1, 3.შ.რუსთაველის ქუჩის II ჩიხი №2.მირზა გელოვანის ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 55, 57, 59, 61. №7, №8, №9. მ.გელოვანის ქუჩის 01 ჩიხი №1, 2, 3, 4. პიერ კობახიძისქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 79, 81, 83, 85, 87, 89, 91, 93, 95, 97, 99.კობახიძის ქუჩის 01 შესახვევი №1, 2, 3.პ.კობახიძის ქუჩის 01 ჩიხი №2, 4.პ.კობახიძის ქუჩის 02 ჩიხი №2, 4.ვაჟა-ფშაველას ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 19, 21, 23, 25, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9. ვახტანგ გორგასალის ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

ცოტნე დადიანის ქუჩის №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8. ალიო მირცხულავას ქუჩის №1, 10, 11, 13, 15, 17, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.აკაკი წერეთლის ქუჩის №1, №2, №3, №4, №6.სოხუმის ქუჩის №1, №2, №4, №6. გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 39, 41, 43, 45, 47, 49, 51, 53, 55, 57, №6, №7, №8, №9.

გ.ტაბიძის ქუჩის 01 ჩიხი №1, 3, 5.გ.ტაბიძის ქუჩის 02 ჩიხი №1, 3. 03 ჩიხი №1, №2. 04 ჩიხი №1, 2. 05 ჩიხი №1. 06 ჩიხი №1, 2, 3, 4, 5, 7.მერაბ კოსტავას ქუჩის №1, 10, 11, 12, 14, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.მ.კოსტავას ქუჩის 01 ჩიხი №1, 2.დავით აღმაშენებლის ქუჩის №2, №4.თამარ მეფის ქუჩის №1, №2, №3, №4, №6, №8.

ნიკო ნიკოლაძის ქუჩის №1, №2, №3, №4, №5, №7. მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

დემეტრე თავდადებულის ქუჩის №1, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, №3, №4, №5, №7, №9. მეგობრობის ქუჩის №1, №2, №3, №4, №5, №7, №9.ლადო ასათიანის ქუჩის №1, 10, 11, 12, 14, 16, 18, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9. კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის №10, №2, №4, №6, №8. იაკობ გოგებაშვილის ქუჩის №1, 10, 11, 13, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

ანა კალანდაძის ქუჩის №1, 11, 13, 15, 17, 19, №2, №3, №4, №5, №6, №7, №9

.ნოე ჟორდანიას ქუჩის №1, 10, 12, №2, №3, №4, №5, №6, №8.

ოტია იოსელიანის ქუჩის №1, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩის №1, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

ილია ჭავჭავაძის ქუჩის №1, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, №3, №4, №5, №6, №7, №9.

ზვიად გამსახურდიას ქუჩის №1, 10, 11, 12, 14, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9.

მუხრან მაჭავარიანის ქუჩის №2, №4, №6, №8.მ.მაჭავარიანის ქუჩის 01 ჩიხი №1, 3.

## №26 ხეთის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ხეთის თემი: ხეთა, ლარჩვა, ოხვამე-

► 5

# №66 ხობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები და საზღვრები

4

კარი. დ. აღმაშენებლის ქუჩის №101, 103, 105, 109, 113, 117, 119, 120, 122, 124, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 139, 140, 141, 142, 145, 146, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 160, 162, 163, 164, 165, 167, 169, 171, 173, 175, 177, 179, 180,181, 183, 184, 185, 186, 187, 188,

დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–3 შესახვევი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–4 შესახვევი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–3 ჩიხი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–4 ჩიხი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–5 ჩიხი, ტ. ტაბიძის ქუჩა, ტ. ტაბიძის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩის №11, 12, 13, 14, 17, 18, 20, 22, 24, 26, 28, 30, 32, თამარ მეფის ქუჩის 1 ჩიხი, თამარ მეფის ქუჩის მე–2 ჩიხი, გ. ტაბიძის ქუჩა, მთავარანგელოზთა ქუჩა, მთავარანგელოზთა ქუჩის 1–ლი ჩიხი, ე. თაყაიშვილის ქუჩა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, თავისუფლების ქუჩის 1–ლი ჩიხი, ი. გოგებაშვილის ქუჩა, ი. გოგებაშვილის ქუჩა 1–ლი ჩიხი, ი. გოგებაშვილის ქუჩის მე–2 ჩიხი, მ. კოსტავას ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩის 1–ლი ჩიხი, მ. კოსტავას ქუჩის მე–2 ჩიხი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩის 1–ლი შესახვევი, ვაჟა-ფშაველას ქუჩის 1–ლი ჩიხი, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე–2 ჩიხი, წმინდა გიორგის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩის 1–ლი ჩიხი, წმინდა ნინოს ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩის 1–ლი ჩიხი, ვ. გორგასალის ქუჩა, ქეთევან წამებულის ქუჩა, ქეთევან წამებულის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ც. დადიანის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩის №1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 10, 13, 17, 21, 23,25, 27, ა. წერეთლის ქუჩის 1–ლი შესახვევი,

ა. წერეთლის ქუჩის მე–1 ჩიხი, ა. წერეთლის ქუჩის მე–2 ჩიხი, ა. წერეთლის ქუჩის მე–3 ჩიხი, გ. ლეონიძის ქუჩა, კ. გამსახურდიას ქუჩა, კ. გამსახურდიას ქუჩის 1–ლი შესახვევი, კ. გამსახურდიას ქუჩის მე–2, შესახვევი, კ. გამსახურდიას ქუჩის 1–ლი ჩიხი, ერეკლე მეორის ქუჩა, მ. მაჭავარიანის ქუჩა, ა. კალანდაძის ქუჩა, ა. კალანდაძის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ნ. დუმბაძის ქუჩა, პ. კობახიძის ქუჩა, ო. იოსელიანის ქუჩა, ნ. ბარათაშვილის ქუჩა, მ. ბალანჩივაძის ქუჩა, მუზეუმის შენობაში განთავსებული დევნილები.

## №27 ხეთის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ხეთის თემი: ლარჩვა, ნოჩხონი, წინაგოლა. დ. აღმაშენებლის ქუჩის №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9,10, 11, 12, 13, 14, 15,16,17,18 19, 20, 21, 22, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 48, 49, 51, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 62, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 81, 82, 84, 85, 86,87, 88, 90, 91, 92, 94, 96, 98, 100, 102, 104, 108, 112, 114,168, დ. აღმაშენებლის ქუჩის 1–ლი შესახვევი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–2 შესახევევი, დ. აღმაშენებლის ქუჩის 1–ლი ჩიხი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მე–2 ჩიხი, შ. რუსთაველის ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩის 1–ლი ჩიხი, შ. რუსთაველის ქუჩის მე–2 ჩიხი, შ. რუსთაველის ქუჩის მე–3 ჩიხი, შ. რუსთაველის ქუჩის მე–4 ჩიხი, თედო სახოკიას ქუჩა, ნ. ფიროსმანის ქუჩა, ლაჟვარდ ბუკიას ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, ლევან ტურავას ქუჩა, თამარ მეფის ქუჩის №2, 3, 5,6, 8, 10, თამარ მეფის ქუჩის 1–ლი ჩიხი, შპს , , ხეთის მეურნეობის“ დასახლება, ტექნიკუმის შენობაში, შპს „,ხეთის დაფნა და ციტრუსი“-ს შენობაში განთავსებული დევნილები.

## №28 ქ. ხობის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ქ. ხობის ტერიტორია: კ. გამსახურდიას ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 41, 42, 44, 46, 48, 50(50კ), 56, 59, 62, 213, ც. დადიანის (ყოფ. წმ. გიორგის) ქუჩა1, 2, 3, 3/1, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32,32ა, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 77, 78, 79,80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 145ა, 147, 148, 149, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 164, 165, 166, 167, 169, 170, 171, 172, 173, 174, 176, 177, 178, 179, 180, 183, 216, 221, კოლხეთის დასახლება (ყოფ. კოლხეთის მეურნეობა), ი. მეუნარგიას ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ზ.გამსახურდიას (ყოფ.სტალინის) ქუჩა ქუჩა 28, 34, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 74, 75, 76, 77, 78, 79, 87, 89, 91, 95, ფიროსმანის ქუჩა, ფოთის ქუჩა, ფოთის ქუჩის მე-2 შესახვევი, შ. რუსთაველის ქუჩა.

## №29 პირველი მაისის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** პირველი მაისის თემი: ჭიხუ,ბულიწყუ. ქუჩა №1–ლი, ქუჩა №1–ლის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–2 ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №3–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №3–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №6–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №9, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №20–ის №2, ქუჩა №20–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა 24, ქუჩა №24–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №24–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №24–ის მე–3 ჩიხი, ოქროს საწმისი. ჭიხუ მ.მაჭავარიანის ქ 3.

## №30 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ნოჯიხევის თემი: ზენი, დასახლება. ბარათაშვილის ქუჩა, პმკ 12-ის შენობაში, ბ/ბაღის შენობაში განთავსებული დევნილები.

## №31 შავღელეს საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** სოფ. შავღელე: მშვიდობის ქუჩა, მშვიდობის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩა, ე. ნინოშვილის ქუჩა, ვ. გორგასალის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩა, ტბელი აბუსერიძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ნ. დუმბაძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ი. ჯავახიშვილის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩა, გ. ტაბიძის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ი. გოგებაშვილის ქუჩა, მემედ აბაშიძის ქუჩა, დ. აღმაშენებლის ქუჩა, აჭარის ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩა, მეგობრობის ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩის 1-ლი შესახვევი, კ. გამსახურდიას ქუჩა, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ა. წერეთლის ქუჩის მე-2 ჩიხი, სამეგრელოს ქუჩა, მეურნეობაში განთავსებული დევნილები.

## №32 ჭალადიდის საარჩევნო უბანი

**საზღვრები:** ჭალადიდის თემი


საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება №05/2021

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისათვის თვითმმართველი თემის ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისა და მათი საზღვრების, სახელწოდებებისა და ნომრების დადგენის შესახებ

ქ.ხობი 2021 წლის 16 ივლისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 140-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** შეიქმნას მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისათვის თვითმმართველი თემის-ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები და დადგინდეს მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ჯემალი შეროზია

კომისიის მდივანი სოფიო პერტია

## დანართი

### მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის თვითმმართველი თემის ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისა და მათი საზღვრების სახელწოდებებისა და ნომრების დადგენის შესახებ კომისიის 16.07.2021 წლის №05/2021 განკარგულებისა

### თვითმმართველი თემის–ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

| ადმინისტრაციული ერთეული | მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი სოფლები | მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი უბნების დასახელება | უბნების რაოდენობა | მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ხობი | ხობი | №1, 3 ხობის საარჩევნო უბანი №2, 28 ხობის საარჩევნო უბანი | 4 | 1 |
| ახალხიბულა ძველი ხიბულა | სოფ. ახალი ხიბულა ძველი ხიბულა | №4 ახალი ხიბულის საარჩევნო უბანი №24 ძველი ხიბულის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| საჯიჯაო | გაღმა საჯიჯაო, საჯიჯაო | №15, 16 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი №17 გაღმა საჯიჯაოს საარჩევნო უბანი | 3 | 1 |
| ბია ნოჯიხევი | სოფ. ბია ნოჯიხევი | №6 ბიის საარჩევნო უბანი №11 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი №30 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი | 3 | 1 |
| თორსა-ღლვაბა ხამისკური | თორსა, ღლვაბა, თორსა-ღლვაბა ხამისკური | №10 თორსა-ღლვაბას საარჩევნო უბანი №25 ხამისკურის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| ხეთა | ხეთა | №26 ხეთის საარჩევნო უბანი №27 ხეთის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| პირველი მაისი | სოფ. პირველი მაისი, ბულიწყუ | №7 პირველი მაისის საარჩევნო უბანი №29 პირველი მაისის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| პატარა ფოთი შავღელე | პატარა ფოთი, შავღელე | №12 პატარა ფოთის საარჩევნო უბანი №31 შავღელის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| საგვიჩიო ჭალადიდი | საგვიჩიო ჭალადიდი | №14 საგვიჩიოს საარჩევნო უბანი №21 ჭალადიდის საარჩევნო უბანი №32 ჭალადიდის საარჩევნო უბანი | 3 | 1 |
| პირველი ხორგა შუა ხორგაქარიატაყულევი | პირველი ხორგაგაღმა შუა ხორგა, ხორგა, შუა ხორგაქარიატაყ ულევი | №13 პირველი ხორგის საარჩევნო უბანი№23 შუა ხორგის საარჩევნო უბანი№18 ქარიატის საარჩევნო უბანი№22 ყულევის საარჩევნო უბანი | 4 | 1 |
| გურიფული ახალსოფელი | პირველი გურიფული, მეორე გურიფული, გურიფული სოფ. ახალსოფელი გაღმა I ხორგა | №8 გურიფულის საარჩევნო უბანი №5 ახალსოფლის საარჩევნო უბანი | 2 | 1 |
| ქვემო ქვალონი ზემო ქვალონი | ქვემო ქვალონი, შუა ქვალონი ზემო ქვალონი | №19 ქვემო ქვალონის საარჩევნო უბანი №20 შუა ქვალონის საარჩევნო უბანი №9 ზემო ქვალონის საარჩევნო უბანი | 3 | 1 |
| | | | 32 | 12 |

# „მათ ბალღზე ცოცხა იკმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეეწირიათ!“

უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი-
არა დაღვრილის-
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა!
არავითარი სხვა სამშობლო, ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მურმან ლებანიძის ამ ლექსით იხსნება „პრაიმტაიმი“-ს მიერ გამოცემული სქელტანიანი წიგნის „გმირი“ პირველი ნაწილი, რომელიც დიდი ტკივილით და სევდით სავსე გვათქმევინებს, „იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს“, როცა ეს ლომგულა ბიჭები დაიბადნენო. პროექტის ავტორმა თამარ ფხაკაძემ, რედაქტორებმა თამარ გორთამაშვილმა და რეზო მატაკაშვილმა, როგორც ჩანს, ტიტანური შრომის ფასად, ძეგლი დაუდგეს და უკვდავების შარავანდედით შემოსეს 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ადამიანები და ერთხელ კიდევ შეგვახსენეს, რომ სიკვდილი ზოგჯერ დიდების გვირგვინია. რუს აგრესორებთან ბრძოლაში დაცემული ბიჭები თანამედროვე გმირებად მოეფინენ სამშობლოს ამიერ-იმიერს, დაგვიბრუნდნენ ცრემლად, ტკივილად, გაუსაძლის მონატრებად, მაგრამ რწმენად საქართველოს უძლეველობისა.

ჩვენი რაიონიდან საქართველოს ზეციერს 8 ვარსკვლავი შეემატა... მათ ლამაზ სიცოცხლეს სიკვდილმა დაადგა შარავანდედი და დაგვარწმუნა, რომ თურმე გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან...

წიგნი მოგვითხრობს ომში ჩვენი რაიონიდან დაღუპული შვიდი გმირის ცხოვრების შესახებ. ჩვენ ყველა მათგანზე ვბეჭდავთ მასალებს, რადგან ყველა მათგანმა კარგად იცოდა, რომ ქართველებს „სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია“...

...იმ ავბედითი დღიდან 13 წელი გასულა, ტკივილით დარდით, სიამაყით და, რაც მთავარია, გაუსაძლისი მონატრების 13 წლიწადი. მათი არდავიწყების დასტურად კიდევ ერთხელ ვეფერებით მათ სახელებს და ვბეჭდავთ ამონარიდებს ზემოთხსენებული წიგნიდან.

*მერი ლაგვილავა*



## გოგა ბერაია

**რეზერვისტი. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“. დაკრძალულია სოფელ პირველი ხორგის სასაფლაოზე.**

**გოგა ბერაია** 22 წლის იყო... დაიბადა 1986 წელს, ხობში, სწავლობდა ხორგის პირველ საშუალო სკოლაში. მოუსვენარი, ცელქი და ამავე დროს გამორჩეული მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მესამე კურსიდან წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტში გადავიდა, ეკონომიკის ფაკულტეტზე.

დედა: „სოფელს ვერ ელეოდა... თბილისში ბინა გვქონდა, იქ ყოფნა არ უყვარდა. როგორც კი დროს იპოვიდა, მაშინვე აქ ჩამორბოდა. ხშირად ამბობდა, ძალიან მიყვარს ჩემი სოფელიო... ჩვენი მეზობლის ბიჭი კონტრაქტორი იყო, ერაყში მსახურობდა. ერთხელ გოგა მოვიდა და მითხრა, სწავლას რომ მოვრჩები, კონტრაქტი მეც უნდა გავაფორმო, ერაყში უნდა წავიდე და სამშობლოს ვალი უნდა მოვიხადოო. გავგიჟდი, რამე რომ მოგივიდეს, რა მეშველება-მეთქი?! მაშინ მითხრა, სიკვდილი თუ მიწერია, რეზერვისტი ვარ და შეიძლება, სენაკის ბაზაზეც მოვკვდეო. მაშინ გავუბრაზდი, რას ამბობ-მეთქი... ახლა კი ვფიქრობ, ალბათ, რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა... ეს ამბავი ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მოხდა...“ ჩვენი ვალია, სამშობლო დავიცვათო,–მიმეორებდა გოგა. დილით 8 საათზე, ორივე ძმა სახლიდან გავიდა, გასვლისას კიდევ ერთხელ შევეხვეწე, ორივე ერთად ნუ წახვალთ მეთქი, ვერაფერს გავხდი... გავაცილე, ორივეს გაოგნებული ვუყურებდი... გოგამ ხელი დამიქნია და კოცნა გამომიგზავნა... ყოველ 10 წუთში ვურეკავდი. ამბავს ვკითხულობდი. მიმეორებდნენ ყველაფერი კარგადაა და საღამოს სახლში ვიქნებითო. ეგონათ, მალევე დაბრუნდებოდნენ უკან...

გიორგი, ძმა: „ბავშვობიდან სულ ერთად ვიყავით აქაც და თბილისშიც. სულ ჩემზე ზრუნავდა, იმ დღესაც რამდენჯერმე მომაკითხა, როგორ ხარო. ბოლოს რომ მოვიდა, ძეხვი და პური დაგვირიგეს, მოერიდა, არ აიღო, მე სხვა ნაწილიდან ვარო. მე თვითონ მივუტანე ერთი ნაჭერი... მალე დაბომბვაც დაიწყო. დავკარგე, ვერ ვპოულობდი...“

გოგა სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს.

**დედა**: „ძალიან ძნელია მის გარეშე ცხოვრება... ერთი წელი მხოლოდ სასაფლაოზე დავდიოდი. აქვე ახლოს ბიჭებმა გოგას წყარო გააკეთეს, საღამოობით იქ გავდიოდი და თავს ვინუგეშებდი, ჩემი შვილი ძალიან მაკლია, მაგრამ ის ხომ სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირა. სხვანაირი გოგა ნამდვილად ვერ წარმომიდგენია...“

## დათა ხურცილავა



**რეზერვისტი (სენაკი). დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“. დაკრძალულია ქ.ხობის სასაფლაოზე.**

**დათა ხურცილავა** სიცოცხლით სავსე, 22 წლის ბიჭი იყო... ომის დაწყებისთანავე გულანთებული გავარდა რეზერვში.

დაიბადა ხობში 1986 წლის 16 თებერვალს.

**დედა, ნინო ბულია** იხსენებს, როგორ ბრუნდებოდა ღონიერი და მოუსვენარი დათა ყოველდღე სკოლიდან დასვრილი და პერანგგადახეული. „ძალიან ცელქი იყო, უფროსკლასელებთან ჩხუბობდა თურმე... მეექვსე კლასიდან საეკლესიო სკოლაში გადავიყვანეთ, გამოიცვალა, დადინჯდა, გაკვეთილებს არ აცდენდა, კარგი მოსწავლე იყო. თავისზე უფროსებთან მეგობრობა უყვარდა...“

**ძმა, დაჩი**:

„ძალიან მოუსვენარი, ჯანმრთელი და ენერგიული იყო. ძალიან ალერსიანი, მოსიყვარულე, მოფერება უყვარდა და ეს თვისება სიცოცხლის ბოლომდე გამოჰყვა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, ფინანსებსა და საბანკო საქმეს ეუფლებოდა.

**დედა:** „სტუდენტი რომ გახდა, მეც თან გავყევი თბილისში. ერთად გავატარეთ სტუდენტობა... ჩვენ მარტო დედა–შვილი კი არა, მეგობრებიც ვიყავით... მოწინავე სტუდენტი იყო, კარგად იცოდა თავისი საქმე, კერძოდ ფინანსები. რომ დაამთავრა თავისი პროფესიით ეძებდა სამსახურს, რომ ვერაფერი იპოვა, უსაქმოდ ხომ არ ვიქნებიო და ყულევის ტერმინალზე, დაცვის სამსახურში დაიწყო მუშაობა. ოპტიმისტი იყო, ამბობდა, მერე რამე გამოჩნდებაო...“ ძმის გადასარჩენად გარბოდა, ბომბის ნამსხვრევი რომ მოხვდა... მერე დაიწყო ომი. ორივე ძმა–დათაც და დაჩიც რეზერვისტები იყვნენ. დაჩი წასულა კიდეც რეზერვში. დათაც გამოიძახეს, მაგრამ სამსახურიდან არ უშვებდნენ.

დედა: „სამსახურში სამჯერ შესულა უფროსთან, ეხვეწებოდა გამათავისუფლე რეზერვში უნდა წავიდეო. მესამე თხოვნაზე გაუთავისუფლებია უფროსს. დათას გარდაცვალების შემდეგ ის კაცი წუხდა, არ უნდა გამეშვა, ჩემი ბრალიაო, მაგრამ დათა თუ რამეს გადაწყვეტდა, ვერავინ გადააფიქრებინებდა... ბებიას და ბაბუას არ უნდოდათ მისი გაშვება, ამბობდნენ, რაღაც ცუდი მოხდებაო, მაგრამ ვინ დაუჯერა... მამამისი გაგიჟებული იყო, არ უნდოდა გაშვება, ხვეწნა რომ დავუწყე, არ წახვიდე მეთქი, მომიბრუნდა–დამალვას მთავაზობო?! არა, შვილო, დაჩი ხომ წავიდა მეთქი, ჰოდა დაჩის ვერც მე მივატოვებ, დაჩი იქაა, მე აქ რა მინდაო. სულ იმეორებდა, დაჩი იქ არის და მე აქ რა გამაჩარებსო... ჩაყარა ტანსაცმელი, ტანზე ნახევრადსველი მაისური ჩაიცვა და გავარდა...“

მამამ რომ ვერაფერი გააწყო, თავადაც წავიდა ბაზაზე. „სამხედრო ბაზის კარებთან იდგა, ორივე შვილი აქ მყავს და სახლში რა მინდაო...

დაბომბვამდე ნახევარი საათით ადრე ველაპარაკე დათას, მამშვიდებდა, დაიძინე, არაფერი მოხდებაო. რა დამაძინებდა, ჩემი შვილები იქ იყვნენ...“

ერთი შვილი სასიკვდილოდ დაჭრილი და მეორე გარდაცვლილი... დღესაც მიკვირს, როგორ გაუძლო ამ სიმწარეს, დაჩი ძალიან ცუდად იყო, გერმანიაში რომ არ წაეყვანათ, ისიც მომიკვდებოდა, ბეწვზეა გადარჩენილი, ერთი წელი ფეხზე ვერ დგებოდა...

დედა: შეყვარებული იყო, ცოლის მოყვანა ეჩქარებოდა, სექტემბერში უნდოდა დაოჯახება... ძალიან უყვარდა ბავშვები, ალბათ გული უგრძნობდა, რომ ვერ მოესწრებოდა მამობას. საშინელებაა... გასახსენებელი ბევრი მაქვს, მაგრამ გული ველარ უძლებს მეტის გახსენებას...“

→ 7

„მათ ძალზე ცოტა იკმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეეწირიათ!“ 6

# ქედს ვიხრი თქვენი გმირკაცობის წინაშე

## 2008 წელს გმირულად დაცემულ მამულიშვილებს ვუძღვნი ამ ეტიუდს

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, უნათესაო და უპატრონო ქვეყანა, მთელს დუნიაზე ანალოგი რომ არ მოეძებნება ისეთი!. ჩვენი ისტორია მუდმივად თავდაცვის, მამულის, ენისა და სარწმუნოების კბილებით, სისხლითა და მთელი არსებით შენარჩუნების ისტორიაა.

ჩვენი ურიცხვი მტრების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ერთს კი ვიტყვი, როგორი უიღბლო და დაწყევლილი უნდა იყო ამოდენა დერჟავის მეზობლობა რომ მოგენაგროს?! იმპერიისა, რომელიც გასაქანსა და საშველს არ გაძლევს თავისუფლად ამოსუნთქვისა და თუ მის პოლიტიკურ ზრახვებს შეეწინაღმდეგე–დაგბომბავს, ტანკებსა თუ ქვემეხებს შემოგიხრიგინებს შენს ეზო-კარში და თუ მასპინძლობა დაგიწუნა ავტომატიანმა და ბომბიანმა, ჭაში ჩაგიფურთებს კიდეც... ტანკიან-ბომბიან-ჯანდაბიანი რომ არის მიტომ! ჩვენ ცოტანი რომ ვართ მიტომაც... ასეთ სატკივილეთში გვიხდება ცხოვრება, ეგაა სამართალი?!

თქვენს სულს შემოვევლე, ბიჭებო, თქვენი თავდადების ძალისხმევა აცოცხლებს კიდევ ამ სისხლიანი ვამპირებით გარშემორტყმულ ქვეყანას ჩვენსას!.. რა საოცრად უთქვამს ჭკვიან ქართველს: საქართველო ძირგახვრეტილ ნავსა ჰგავს, თუ მუდმივად არ ამოხაპე წყალში ჩაიძირებიო!-ეგრეცაა, ქართველის წამითაც შეყოვნება შეუძლებელია, თვალმოუხუჭავად უნდა ვიდგეთ ქვეყნის სადარაჯოზე და მუხლმოუდრეკლად ვიღწვოდეთ გადასარჩენად!..

დიდი მუხრანისა არ იყოს, სხვისი ქვეყანა თუ უსაშველოდ გრძელი და უკიდეგანოდ გაშლილია, სამაგიეროდ, ჩვენი მამული უსაშველოდ მაღალი და ღმერთთან სიწმინდედ დავანებულია, ამიტომაც ვერ გვამარცხებენ და ძვრას ვერ გვყოფენ უფალთან მიკიბოვებულსა და აცამაღლებულს!..

ასეა, საქართველო და ქართველი უკვდავია, ვითარცა მარადისი!..

„ქედს ვიხრი თქვენი თავდადებისა და გმირკაცობის წინაშე, თქვენ შეძელით საუკუნეების წიაღიდან გამოხმობილი გმირობის საწიერი აგერ, გუშინდელი თავდადებით დაგენახვებინათ თითოეული მამულიშვილისთვის და გეთქვათ: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებაო!..“

ეს გზაა ქართული გზა, თავდადებისა და უდრტვინველი ვაჟკაცობის გზა. უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სამაგალითო სულები და გაგვინათოს სავალი მომავალი–თავისუფალი და ძლიერი საქართველოსკენ!

***ლაშა გვასალია,***
***მწერალი.***

## ლევან ჭოჭუა



**რეზერვისტი.**
**დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.**
**დაკრძალულია მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე (ქ.თბილისი).**

**ლევან ჭოჭუა** ერთ-ერთი იყო იმ შვიდი რეზერვისტიდან, ვინც სენაკის სამხედრო ბაზაზე დაიღუპა აგვისტოს ომის დროს, როცა რუსეთმა სენაკის ბაზა დაბომბა.

ლევან ჭოჭუა მეომარი არ ყოფილა, ის მხოლოდ რეზერვისტი იყო–22 წლის სტუდენტი ბიჭი.

დაიღუპა სენაკში. დაბადებითაც სენაკში დაიბადა. მშობლები–მძლავრი ჭოჭუა და ნუცა სერგია-ჭოჭუა ხობში მსახურობდნენ და ამიტომაც მათ ლევანი და მისი და ხობში შეიყვანეს სკოლაში.

ლიკა ლევანზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ მაინც ერთ მერხს უსხდნენ. „ლიკა მეორე კლასში იყო ლევანი რომ სკოლაში შევიყვანეთ, მაგრამ იმდენად ნიჭიერი აღმოჩნდა, რომ კომისია შედგა, შეამოწმეს და პირდაპირ მეორე კლასში დასვეს.

5 წლისამ თვითონ ისწავლა წერა-კითხვა, 6 წლისა ვეფხისტყაოსანს კითხულობდა, ერთუცნობიან განტოლებებს ხსნიდა“...–იხსენებს თვალცრემლიანი

**დედა**. ოჯახი სენაკში ცხოვრობდა და ყოველდღე ხობში დადიოდა.

არადა იმ დროს უკვე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ტყვიების წვიმაში უწევდათ ცხოვრება. ოჯახი სენაკიდან საცხოვრებლად ხობის რაიონში, ბებია-ბაბუასეულ ძველ სახლში გადავიდა და ბავშვებიც იქვე შეიყვანეს სკოლაში. დაამთავრეს წარჩინებით და და-ძმა მოსკოვში წავიდა სასწავლებლად, მოსკოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა ორივემ და ორი წლის შემდეგაც ორივე ერთად დაბრუნდა საქართველოში, ორივემ, ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

ორივემ, ერთად დაამთავრა ბაკალავრიატი, ორივემ ჩააბარა მაგისტრატურაში, მაგრამ უკვე მარტო ლიკას მოუწია მაგისტრატურის დამთავრება... ლევანი დოქტორანტურისთვის ემზადებოდა, ჟურნალ „ტრანსპორტში“ სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებდა... თან საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში მუშაობდა მიკროდაფინანსების საკრედტო ექსპერტად... დღე-დღეზე ფინანსთა სამინისტროში უნდა დაეწყო მუშაობა...

ლევანი რეზერვში პირველად 2007 წელს გამოუძახიათ, 18-დღით, 2008 წლის ზაფხულშიც–8 დღით... მესამედ–8 აგვისტო. რომ ჯერაც არ იყო გათენებული... გმირობისთვის ის სულისკვეთებაც საკმარისია, რომელიც ლევანს ჰქონდა.

**ნუცა ჭოჭუა:** „სახლში მოვიდა და ჩვენ გავყევით სენაკის ბაზაზე, მე და მამამისი. ზუსტად მიასწრო 2 საათზე. დამპირდა, დაგირეკავთო, აღარ დაურეკავს.

შუაღამისას მომიკაკუნა მეზობელმა, სენაკის ბაზაზე გამომყევიო... წავედით... ბაზა დაბომბილი იყო, საშინელება ტრიალებდა, იყო ყვირილი, ტირილი, ძებნა, უბედურება, ის ადგილი დაიბომბა ბაზაზე. სადაც ლევანის ბატალიონი იდგა... ბიძაშვილმა ამოიცნო ლევანი. დასახიჩრებული იყო ჩემი ლამაზი ბიჭი... ლევანი ამ ქვეყნიდან წავიდა იმ რწმენით, რომ მიდიოდა სამშობლოს დასაცავად...

**ლიკა ჭოჭუა:** „ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ ლევანის და ვარ, იმის რწმენა მასულდგმულებს, რომ ლევანი უფალთანაა. ლევანი მებრძოლი სულის ადამიანი იყო, არაერთი წინააღმდეგობა გადაულახავს, ამჯერადაც ასე მეგონა, მაგრამ მისი მებრძოლი სული უძლური აღმოჩნდა რუსული ბომბების წინააღმდეგ...“

## მიხეილ იოსავა



**რეზერვისტი (სენაკი).**
**დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.**
**დაკრძალულია ქ.ხობის სასაფლაოზე.**

**მიხეილ იოსავა** 1986 წელს დაიბადა ხობში. ხობშივე დაამთავრა სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და დაამთავრა.

ის სულ რაღაც 22 წლის ბიჭი იყო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, დიდი ცხოვრებისთვის ემზადებოდა, ჰქონდა ოცნებები და მიზნები, მაგრამ მის სამშობლოს რუსი მოადგა და რეზერვში გამოიძახეს, სამშობლო მეძახისო, იმეორებდა,“–იტყვის მამა. მამა, რომელმაც თავად მიიყვანა შვილი სენაკის ბაზაზე...

ოჯახი ბოლოს 11 საათზე ელაპარაკა ბაზაზე მყოფ შვილს. პირველი დაბომბვის ხმა რომ გაიგეს, ურეკავდნენ, ზარს რომ არ უპასუხა, მშობლები ბაზაზე გაცვივდნენ. გარდაცვლილი შვილი საავადმყოფოში იპოვეს... რამდენიმე ნასხლეტი ჰქონდა მას მოხვედრილი...

**დედა მარინე კაკულია:** „უგემრიელესი შვილი იყო, ვამბობდი, დავბერდები და ბედნიერი დედა ვიქნები-მეთქი... უპრეტენზიო, დაუზარელი, ძალიან ეშმაკი და ჭკვიანი ბავშვი იყო. უფროსებთან მეგობრობა უყვარდა... სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა.

დაწყებითი კლასების პედაგოგი მეუბნებოდა, თვითნაბადი მათემატიკური ნიჭი აქვსო. მილიონების ფარგლებში ამრავლებდა და ყოფდა ელვის სისწრაფით. ბებია უკრაინელი ჰყავდა და რუსულიც ძალიან კარგად იცოდა, როდესაც სკოლაში ღია გაკვეთილი ტარდებოდა, სულ მიშიკოს მიჰყავდა... სამეგობროში, სამეზობლოში თუ ვინმეს რამე უჭირდა, ყველას კაცივით ედგა გვერდში. თავის საქმეს გადადებდა და სხვისას გააკეთებდა. ძალიან დამოუკიდებელი იყო. ცდილობდა, ყველას დახმარებოდა, რითაც შეეძლო...

**მამა ბესო იოსავა:** დამოუკიდებელი იყო. ეტაპობრივად ყველაფერს მივაღწევო, ხშირად მიმეორებდა... ძალიან უყვარდა ნადირობა, თევზაობა, ბილიარდის თამაში. მისი გარდაცვალებ ის შემდეგ, საბილიარდო კლუბის ხელმძღვანელის ლერი ბასილაიას ინიციატივით, მიშიკო იოსავას სახელობის ტურნირი ჩავატარეთ.

დედა: ძალიან ძნელია ცხოვრება მიშიკოს გარეშე, საოცრად მოსიყვარულე იყო, ერთი უხეშად მოქცევა არ მახსოვს მისგან. შემოვარდებოდა, გადამკოცნიდა და ისევ გაიქცეოდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა, ალბათ გრძნობდა, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ეწერა და ყველაფრის მოსწრება უნდოდა. მიშიკოს გარდაცვალება რომ გავიგეთ, ჩვენს სახლში უამრავი ხალხი ირეოდა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ჩემი თავი გადამავიწყდა, სხვების მოსულიერებას ვუნდებოდი, გაოგნებული ვიყავი, 21 წლის ბიჭმა ასეთი დიდი სიყვარულის დათესვა როგორ მოახერხა მეთქი. ნამდვილად არ ვიცოდი, ამდენ ადამიანს თუ უყვარდა...

8

# „მათ ძალზე ცოტა იკმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეეწირიათ!“

7

## ზვიად დათუაშვილი



კაპრალი.

დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.

დაკრძალულია სოფელ შუა ხორგის სასაფლაოზე.

**ზვიად დათუაშვილი** ხობის რაიონში, სოფელ შუა ხორგაში დაიბადა და გაიზარდა, სკოლის დამთავრების შემდეგ ფოთის ტექნიკურ ლიცეუმში სწავლობდა საბუღალტრო განხრით. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე, საბანკო–საფინანსო სპეციალობით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურიც უნივერსიტეტში სწავლისას მოიხადა, 2007 წელს კი კონტრაქტი გააფორმა სამშობლოსთან–მსახურობდა საზღვაო ძალებში, გემ „გურია 001“-ის მესაჭე-მესიგნალე იყო.

ზვიად დათუაშვილი გემბანზე იდგა, ბიჭებს უყვირა: ბიჭებო, რადარზე რაღაც ჩანს, ფრთხილად იყავითო და... ჩამოვარდა კიდეც პირველი ბომბი... გემის კარისკენ გავარდა, კარი საკუთარი სხეულით ჩახერგა და ჩაიკეცა... „მეგობრებს გარეთ გამოსვლის საშუალება არ მისცა და ასე მათი სიცოცხლე გადაარჩინა. სიკვდილის დროსაც სხვებზე ზრუნავდა... წავიდა უკვდავებაში და დავრჩი გაუბედურებული, ცოცხალ-მკვდარი დედა“,–იტყვის ამაყი სევდით **მარინა ჯგერენაია...**

გულმოკლული დედა გაიხსენებს იმ ბედნიერ დღეს, 1983 წლის 12 დეკემბერს, ორი ვაჟიშვილი რომ შეეძინა ერთად–ზვიადი და ზაზა...

დედა: „ვიდრე კონტრაქტს გააფორმებდა, ცოტა ხანს გემთმშენებელ ქარხანაში მუშაობდა. მაშინ გემთშემკეთებელი ქარხნის თითქმის ყველა ოთახში მისი ნახატები ეკიდა. თვითნასწავლი მხატვარი იყო. ხატავდა, მღეროდა, ძალიან უყვარდა პოეზია... დიდი და ძლიერი იყო, მეგობრები სიყვარულით „დავითს“ ეძახდნენ.

ვერ იტანდა სხვის დაჩაგვრას, ყველას პატრონობდა, როცა ბიჭები იკრიბებოდნენ, თამადა ყოველთვის ზვიადი იყო. სამშობლოს სიყვარულს განსაკუთრებულად გამოხატავდა...

ჯარში კონტრაქტით წასვლა რომ გადაწყვიტა, შევეწინააღმდეგე, არ მინდოდა მისი გაშვება, მაგრამ არაფრით არ დამიჯერა, პატრიოტი იყო... პასუხისმგებლობა ჰქონდა და როგორც ახლა ვხვდები, გაცნობიერებულიც, რასაც აკეთებდა...

ზაზას სამხედრო სამსახურში უნდოდა მუშაობის დაწყება, ზვიადი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რამე რომ მოხდეს ერთ-ერთი მაინც ხომ უნდა გადავრჩეთო, მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია...“ ზვიად დათუაშვილი გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად აპირებდა წასვლას, 6 აგვისტოს თავისი ინიციატივით გადადო გერმანიაში წასვლა და ფოთში თავის ნაწილში დაბრუნდა.

დედა: „დაბომბვამდე 10 წუთით ადრე მელაპარაკა ტელეფონით, დამამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, მერე მამამისს დაურეკა და დაამშვიდა, ნუ ნერვიულობო...

ბოლო პერიოდში ძალიან მორწმუნე გახდა, ყველა ეკლესია შემოიარა, ბოლო ორი თვე ყოველ დილით საგალობლებს უსმენდა, ლოცულობდა, ძალიან უნდოდა, რომ მშობლიურ სოფელში ეკლესია აეშენებინა. ამბობდა, გერმანიიდან რომ ჩამოვალ, მაღალი ხელფასი მექნება და ჩემი სურვილის ასრულებას შევძლებო. ეს დარჩა აუხდენელ ოცნებად... ზვიადის დაღუპვის შემდეგ, სახელმწიფომ რომ გარკვეული თანხა გამოგვიგზავნა დაკრძალვისთვის... ზაზამ მითხრა, ზვიადს ეკლესიის აშენება უნდოდა და ამ თანხით ეკლესია ავაგოთო. ეს ტაძარი მარტო ჩემი შვილის უკვდავებას კი არ უზრუნველყოფს, არამედ ყველა იმ ვაჟკაცისას, ვინც საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა...“

## გოგა ჭითანავა



რეზერვისტი.

დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.

დაკრძალულია სოფელ ხეთის სასაფლაოზე.

**გოგა ჭითანავა** ომის დროს, რეზერვში რომ გამოიძახეს, ველარავინ შეაკავა. 8 აგვისტოს გაიხურა სახლის კარი... 9 აგვისტოს სენაკის ბაზას ბომბავდა მტერი. პირველ დაბომბვას გადაურჩა, მეორე დაბომბვისას კი... 20 ნაბიჯში დაეწია სიკვდილი–ოცი ნაბიჯიღა იყო სანგრამდე... და ოცის ნაცვლად ერთი ნაბიჯი გადადგა–უკვდავებისკენ...

გოგა ჭითანავა 1987 წლის 30 ოქტომბერს დაიბადა ხობში. დაამთავრა სოფელ ხეთის საშუალო სკოლა. მშობლებისთვის მეორე, უმცროსი ვაჟი იყო, თუმცა დედა იხსენებს, რომ გოგა იყო უფროსი, ვიდრე მასზე ორი წლით უფროსი ლევანი...

**დედა**: „პატარაობიდანვე ისეთი იყო–დაეყრდნობოდი. დიდი საქმეც, რომ დაგევალებინა, თავისუფლად აკეთებდა. ბავშვობიდან ძალიან მოსიყვარულე იყო, სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა...“

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წამოვიდა, ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა მექანიკა–მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

**მამა:** „ხუთი წელი ცხოვრობდა დამოუკიდებლად თბილისში და არასოდეს პრობლემა არ შექმნია.

ბრძნული და ჭკვიანური აზრების თქმა იცოდა. სტუდენტობისას ორჯერ იყო რეზერვში.

უნივერსიტეტი 2008 წელს დაამთავრა. თბილისიდან ახალი ჩასული იყო ხობში, მობილიზაცია რომ გამოცხადდა და გამოიძახეს.

**დედა:** „სანამ ეს ამბავი მოხდებოდა სამი დღით ადრე, მარტო ვიყავი სახლში, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, არ ვიცი რა მტკიოდა, ხმამაღლა მინდოდა მეტირა, უცებ კარი გაიღო და გოგა შემოვიდა, შევჩივლე, რაღაც ცუდად ვარ მეთქი. ჩამიხუტა. უცებ გულზე მომეშვა.

მკითხა: როგორ ხარო, უკეთ–მეთქი. გადამკოცნა, მომეფერა და მითხრა: დე, მე შენი წამალი ვარო...

9 აგვისტო ჩემი დაბადების დღეა, რიცხვი ამერია და 8–ში დილით მეგონა, რომ 9 აგვისტო იყო.

გოგა რომ ადგა არ მომილოცა, ვუთხარი გილოცავ ჩემს დაბადების დღეს მეთქი. ჩამეხუტა, გადამკოცნა, დიდხანს იცოცხლე და შენი შვილების ბედნიერებით დატკბიო. მოვლენები ასე ცუდად რომ განვითარდა, მერე გავიგე, რომ თურმე 8 აგვისტო იყო და გოგას წინასწარ მოვალოციე დაბადების დღე, ალბათ გული უგრძნობდა, რომ 9 აგვისტოს ვეღარ მოესწრებოდა...“

გოგა წავიდა ბაზიდან არც გაუყვანიათ. ოჯახთან მთელი დღის მანძილზე ჰქონდა სატელეფონო კონტაქტი. ბოლოს გვიან ღამით დარეკა შინ.

**დედა:** „ვეხვეწებოდი, შვილო თავს გაუფრთხილდი-მეთქი, მამშვიდებდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და მალე სახლში ვიქნებიო. ბოლოს მითხრა, დედა, ნუ დაჩაჩანაკდები მაგრად იყავი, ძალიან მიყვარხარ, თავი არ დაიჩაგროო... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები...“

**ძმა:** „ჩვენი საუბრიდან ათ წუთში ჯერ ფოთი დაიბომბა, შემდეგ სენაკი. ბიჭები იხსენებენ, გოგა ტელეფონზე ლაპარაკობდა, უცებ ცა რომ განათდა და საშინელი ხმა გაისმა „დაწექით!“ ვინ საით გარბოდა არ გვახსოვს, დაბნეულები ვიყავითო... გოგა პირველი დაბომბვისას გადარჩენილა, მეორე დაბომბვისას სანგრისკენ გარბოდა, მაშინ დაღუპულა, როცა სანგრამდე 20 ნაბიჯი იყო დარჩენილი...“

**მამა:** საავადმყოფოში წავედით, იქნებ დაჭრილია მეთქი. პირდაპირ პირველ სართულზე შევედი, სამი ჯარისკაცი ესვენა, გადაფარებული ჰქონდათ. ერთ-ერთს მივუახლოვდი გადავხადე და... ჩემი შვილი იყო...“

**დედა:** ერთი სული მქონდა სწავლას როდის დაამთავრებდა, სულ აქ მეყოლება მეთქი, თბილისიდან რომ დაბრუნდებოდა ეზოში შემოვიდოდა თუ არა ზურგჩანთას დააგდებდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა –„რა კარგია ჩემი სახლი, მიყვარს აქაურობა“...

ოცნებობდა ცოლი მოეყვანა და გერმანიაში წასულიყო რამდენიმე წლით, ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა... ცხოვრება გადის უხალისოდ... ეკლესიაში დავდივარ... თვითონ ძალიან ეკლესიური იყო, მარხულობდა, ეზიარებოდა... ნაზიარევი წავიდა ამქვეყნიდან...

9

# „მათ ძალზე ცოტა იკმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეეწირიათ!“

8 ←



## გოგიტა ქარჩავა

კაპრალი, მსახურობდა ვაზიანში.

დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.

დაკრძალულია სოფელ ქვემო ქვალონის სასაფლაოზე.

**გოგიტა ქარჩავა** დაიბადა 1987 წლის 23 დეკემბერს. ხობში, დაამთავრა სოფელ ქვემო ქვალონის სკოლა.

ოჯახში მეორე ბიჭი იყო, ოთხი ძმა იზრდებოდა ერთად და როგორც დედა იტყვის, მათი წაკინკლავებაც არ ახსოვს. მტრის ალყაში იყვნენ, გოგიტას უკან ასაფეთქებელი მოწყობილობა რომ დავარდნილა.

როგორც თანამებრძოლები იხსენებენ– უყვირიათ „ქარჩავა დაწექი!“.. მას მხოლოდ გახედვა მოუსწრია და... აფეთქებას შეუზანზარებია კიდეც უკვე მერამდენედ იქაურობა...

10 აგვისტოს ოჯახს დაურეკეს, დაჭრილი გორის ჰოსპიტალშია, სისხლი სჭირდება, ოჯახის რომელიმე წევრმა ჩამოაკითხეთო. უფროსი ძმა გადარეული გავარდა, მაგრამ...

ცოცხალს ვერ ჩაუსწრო... საკუთარი ხელით წაასვენა 20 წლის ძმის ცხედარი...

გოგიტამ, სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სენაკის აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯში განაგრძო. მერე სავალდებულო ჯარში გაიწვიეს და წავიდა. 1 თვის თავზე კონტრაქტი გააფორმა, მსახურობდა ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში. მეტყვიამფრქვევე იყო. მტერმა სულ ერთი წელი აცალა სამშობლოს სამსახური...

**დედა ნაირა კოდუა:** არ მინდოდა კონტრაქტი რომ დაედო, მაგრამ მე ვინ დამიჯერა... ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და ამბობდა, ჩემისთანებმა უნდა დაიცვან სამშობლოო, ახლა მრცხვენია ამას რომ ვამბობ, მაგრამ ვეუბნებოდი, სხვებმა დაიცვან-მეთქი. მკაცრად გამომხედავდა და მეტყოდა, დედა ეს მეორეჯერ არ გაიმეოროო... ეტყობა წინათგრძნობა მქონდა და შვილის დაკარგვა არ მინდოდა...

კახა ქარჩავა, უფროსი ძმა: „კონტრაქტი თავისი სურვილით დადო, ამბობდა, სამშობლოს უნდა ვემსახუროო, ჩემი ძმაკაცები ყველა მიდის და მეც უნდა წავიდეო...“

დედა: ჯარში რომ წავიდა, ქების სიგელი გამომიგზავნეს, რომელსაც პრეზიდენტი აწერდა ხელს, მადლობას მიხდიდა პატრიოტი შვილის აღზრდისთვის...“

ბოლოს 7 აგვისტოს დამირეკა, განგაშია გამოცხადებული, გორისკენ მივყავართო და სახლში არ თქვაო, მთხოვა. მერე აღარ შეგვხმიანებია... 10 აგვისტოს დაგვირეკეს, რომ მძიმედ დაჭრილი გორის ჰოსპიტალში იწვა. რომელიმე ოჯახის წევრი ჩამოვიდეს, სისხლი სჭირდებაო, მე სასწრაფოდ გავქანდი, მაგრამ ცოცხალს ვერ მივუსწარი, ჩემი ხელით გადმოვასვენე, სულ რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა კისრის არეში... ალყაში ყოფილან მოქცეულები, მის უკან მობილურის მსგავსი ასაფეთქებელი დავარდნილა. დაუყვირიათ დაწექიო, დაწოლაც ვერ მოუსწრია ისე აფეთქებულა...

დედა: „ძალიან მიმძიმს მის გარეშე ცხოვრება, მაკლია მისი სითბო, სიყვარული... ირგვლივ რომ გავიხედავ, ყველაფერი მის თავს მახსენებს... ძალიან მენატრება...“

## ლევან ტურავა



დაიბადა 1975 წელს, სოფელ ხეთაში.

1998 წლიდან მუშაობდა ქ.ფოთში, საზღვაო ნავსადგურში მემანქანედ.

დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის 2008 წელს“.

ჰავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

დაკრძალულია სოფელ ხეთის სასაფლაოზე.

### უკვდავებადქცეული სიცოცხლე

რუსულმა აგრესიამ, ღვარძლმა და ბოღმამ ჩვენი რაიონიდან რვა ადამიანის ლამაზი სული შეიწირა, რვა ლამაზი სული გადასახლდა ცათა სასუფეველში, შენც ერთ-ერთი მათგანი იყავი ჩვენო კეთილო ლევან! შენი მონატრება სიტყვებზე მეტია, თითქოს წამიერად გაიბრწყინე და შენი ხანმოკლე სიცოცხლით წარუშლელი კვალის დატოვება მოასწარი.

სამი თვეა, რაც მარადისობას შეუერთდი, ერთმა ტრაგიკულმა წამმა წაგვართვა შენი თავი, წაგვართვა სამუდამოდ. უსაზღვროდ გვენატრები, გვაკლიხარ და ვიტანჯებით.

გვაპატიე, შენს ლამაზ სულს ჩვენი უსაზღვრო მწუხარებით თუ ვაშფოთებთ, შენ სიცილი, სიცოცხლით სავსე მზერა, შესაშური ენერგიულობა და ხელების ლაღად გაშლა უფრო გიხდებოდა, კაცური თანადგომა და უანგარო მეგობრობა არასდროს გენანებოდა, თითქოს უფრო მეტის გაკეთებას ცდილობდი. ერთ ადგილას დიდხანს ყოფნას გაურბოდი, ამას ეხლა ვხვდებით, თურმე ზეციური სასუფევლისაკენ მიგეჩქარებოდა, ყველაფრისათვის 33 წელი იმყოფინე და დაგვიტოვე საშინელი სიცარიელე. რითი უნდა ინუგეშოს თავი შენმა გაუბედურებულმა დედამ, რომელიც ცალუღელა სწევდა ცხოვრების ჭაპანს და სულ მუდამ ენატრებოდი,

შენი მზრუნველობა და სიყვარული ენატრებათ შენს ცოლ-შვილს. ვერც შენი დები ვპოულობთ ნუგეშს, ჩვენი ნუგეში შენი სახეა ჩემო კეთილო ბიჭო, რომელიც შენი სახლის კედლებიდან, სურათებიდან გვიმზერს, ეს არის ჩვენი მწარე რეალობა, რეალობა, რომელიც ერთი კარგი კაცის ღიმილმოკლებული სიცოცხლეა, ჩვენთვის შენი ხსოვნა არასოდეს გაფერმკრთალდება და შენი ლამაზი სულის საოხად მუდამ აინთება წმინდა სანთელი.

**დები მარიამ და ირმა ტურავები.**
**2008 წელი.**

## რამაზ კიტია



რამაზ კიტია 33 წლის ასაკში, 2008 წლის 21 სექტემბერს, სოფელ ხურჩაში, რუსული საგუშაგოს სნაიპერის მიერ მოკლულიქნა შ.ს. სამეგრელო ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი, ტყუპი მცირეწლოვანი შვილების მამა ახალხიბულელი რამაზ კიტია. იგი სიკვდილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის“ ორდენით.

დაიბადა ხობში 1975 წელს. შ.ს. სამეგრელო ზემო-სვანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი. დაიღუპა სოფელ ხურჩაში. დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით“.

დაკრძალულია სოფელ ახალი ხიბულის სასაფლაოზე.

### შენ ჩვენი ტკივილი ხარ!

ჩემო საყვარელო ძმაო. აგვისტოს ომის დროს რუსულ აგრესიას მოულოდნელად შეწირული მამის შემდეგ, შენ ჩვენი იმედი იყავი. მამის სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს გვიმსუბუქებდი, ვინ იფიქრებდა იმას, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეეწირებოდი განმუხურის დაბომბვის დროს. შენც ამ აგრესიის მსხვერპლი გახდი. მამიკოს გარდაცვალების მეორმოცე დღეს შენი სიცოცხლეც გაჩერდა, რაც სამყაროს გაჩერებას ნიშნავდა ჩვენთვის... წახვედი და უსაზღვრო ტკივილი და დარდი დაგვიტოვე. დაგრჩა საყვარელი მეუღლე და პატარა ტყუპი ბიჭები–გიორგი და ლუკა, შენი უკანასკნელი სიტყვაც ეგ ყოფილა: ‚ოჰ, ჩემი შვილები“...

წლებია ვეძებ კითხვაზე პასუხს, რატომ? პასუხი კი მხოლოდ უფალმა იცის. შენს სახლში ყოველი დღე ცრემლიანია. ზეცამდე აღწევს დედის გოდება. მიუხედავად დაძაბული სამსახურისა, დღეში რამდენჯერმე უნდა შეხმიანებოდი ტელეფონით, მოგეკითხა, გაგემხნევებინა, შენ იყავი მისი ერთადერთი ნუგეში. დღეს კი დედაშენს უჭირს უშენოდ, მაპატიე, ვერა და ვერ ვანუგეშე, არაფერი გამომდის.

გიყვარდა შენი ახლად შექმნილი ოჯახი, შენი მეუღლე, რომელსაც დარდისაგან ცრემლი გაშრობია, გიყვარდა შენი პატარები, მეგობრები, ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც შეხვედრიხარ! მჯერა, შენი სული მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წლის 20 აგვისტოს გმირული მამაცობისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაგაჯილდოვა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნამდვილი ვაჟკაცი იყავი. დღეს შენთვის საყვარელ ადამიანებს ისღა დაგვრჩენია, შენი სახელი მოვიგონოთ და ხშირად მოვუყვეთ შენს შვილებს, თუ როგორი თბილი და მოსიყვარულე მამა იყავი. ღვთის წყალობით, კეთილი ადამიანების დახმარებით, ჩვენი დაუღალავი შრომით, ვეცდებით კარგ ადამიანებად გავზარდოთ.

ერთადერთო და საფიცარო ძმაო, მინდა შენს უკვდავ სულს კიდევ ერთხელ მოვეფერო, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ! არასოდეს დაგივიწყებთ, ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან და უფალს შევავედრებთ, შენი უკვდავი სული მარადიულ სასუფეველში ამყოფოს.

***შენი სულისთვის მუდამ მლოცველი ერთადერთი და ეკა კიტია.***
***2010 წელი.***

## სოფელი

*საჯიჯაო ერთ-ერთი გამორჩეული და დიდი ადმინისტრაციული ერთეულია ხობის მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობს 945 ოჯახი 3330 მოსახლით. ათეული წლების წინათ საჯიჯაოელთა სასახელო საქმეებს შორს გაუთქვამს სახელი და დიდება. მრავალი წარჩინებული ადამიანი ამშვენებდა*



*შეძლებულ და დიდ სოფელს. ყავდათ ორდენოსანი და გმირი ადამიანები. გამორჩეული და ნიჭიერი პედაგოგები, საუკეთესო ახალი თაობა...*

*დღესაც საჯიჯაოს დიდი წვლილი შეაქვს ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში. მიუხედავად სხვადასხვა გამოწვევებისა, აქ ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა და ხალხის მხარდამხარ დგომა, მათი პრობლემების დაძლევისთვის ზრუნვა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხალხისთვის.*

*თუ რა გაკეთდა ბოლო წლებში საჯიჯაოში, რა არის სამომავლო გეგმები, კითხვით მივმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს საჯიჯაოს ადამინისტრაციულ ერთეულში–ბატონ* ***ედიშერ ფოცხორაიას.***

# მოლოდინები გაკეთებულზე მეტია



–ბოლო წლებში აქ ბევრი რამ გაკეთდა ხალხისთვის. მნიშვნელვანი გახლავთ საჯიჯაო-ხიბულის დამაკავშირებელი ახალი გზის ბეტონის საფარის მოწყობა. ჯაპიშაქარში მდინარე ჭანისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა, აქვე მოეწყო ქუჩების გარე განათება. აშენდა და მწყობრში ჩადგა 4 ხიდი.

სოფელ ზენში ასევე დაიგო ასფალტირებული საფარი და გაკეთდა გარე განათება, აშენდა 2 ახალი ხიდი, შეკეთდა 3 ხიდი. ზენში მოხდა საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან (45 ჰექტარი).

სოფელ ზუბში ამოიწმინდა სანიაღვრე არხი და მოეწყო მილხიდები, გაკეთდა გარე განათება.

საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სასპორტო დარბაზისთვის შეძენილიქნა სპორტული ინვენტარი.

სოფელ გალმა საჯიჯაოში ორ დიდ აღმართზე დაიგო ბეტონის გზის საფარი. ასევე ბეტონის საფარი დაიგო სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე. საჭანტურიოს უბანში 450 მეტრ გზაზე დაიგო ბეტონის საფარი.

გალმა საჯიჯაოში მდინარე „ზანაძგაში" გაკეთდა 2 ახალი ხიდი, რომლის ღირებულებამ 45 000 ლარი შედგინა. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში აშენებულია და მოქმედებს ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც ბავშვების აღზრდის მნიშვნელოვანი კერაა.





საჯიჯაოს №1 საჯაროს სკოლაში გამოიცვალა სახურავი, სამივე სართულს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გაკეთდა სპორტული დარბაზი. გამოიყო და მოქმედებაშია მედდის ოთახი.

საჯიჯაოელთათვის მნიშვნელოვანი და სავიზიტო ბარათია კულტურის სახლის არსებობა, შენობა, რომელსაც სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ადმინისტრციულ ერთეულში აშენდა 5 ახალი მოსაცდელი.

14 სოციალურად დაუცველ ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავის შესაძენად საჭირო თანხა. წლების წინათ კი 28 ოჯახს სტიქიისგან დაზიანებული სახურავის გამოცვლა დაუფინანსდა.

ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა და მოქმედებს პოლიციის განყოფილება.

ამჟამად მთელი აქცენტი გადატანილია მიმდინარე წლის პროექტების განხორციელებაზე.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სოფელ ზენში სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე დაიგება ბეტონის საფარი.

ჯაპიშაქარში გაკეთდება გარეგანათება. ასევე გარეგანათება მოეწყობა სოფელ ზუბში. სოფელ გალმა საჯიჯაოში დაიწყება გზის მოხრეშვითი სამუშაოები.

ადმინისტრაციული ერთეულის ოთხივე სოფელი გაზიფიცირების დაწყების მოლოდინშია.

მიმდინარე წელს განხორციელდება სოფლის ადმინისტრაციული ცენტრიდან, ზუგდიდთან დამაკავშირებელი 4 კილომეტრიანი გზის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით.

მიმდინარე წელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელია. იმედია, არჩევნები ტრადიციულად ნორმალურ პირობებში ჩატარდება.

ახლა ასევე უმთავარესია, სოფლის თითოეულმა მოსახლემ გამოიჩინოს გულისხმიერება, იზრუნოს იმისთვის, რომ დავძლიოთ პანდემია და თავიდან ავიცილოთ მისგან გამოწვეული საფრთხეები, ავიცრათ! გავითვალისწინოთ ექიმების მოწოდებები და რეკომენდაციები.

***საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.***

# სპორტი

9 აგვისტოს, დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, დათა ხურცილავას სახელობის პირველობის ფინალური შეხვედრები გაიმართა.

პირველობის გამარჯვებული ნოჯიხევის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ბიამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ახალი ხიბულის გუნდი გავიდა.

ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს თასები, სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. სპორტულ ღონისძიებას დათა ხურცილავას ოჯახის წევრებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდა.

საფეხბურთო პირველობა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.



8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგა ჭითანავას სახელობის სტადიონზე, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის გოგა ჭითანავასა და ჯარისკაცის ლევან ტურავას სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩები გაიმართა.

ტურნირის ფინალურ შეხვედრაში საქირიომ (ხეთა) „ცენტრი“ (ხეთა) დაამარცხა და მემორიალური პირველობის გამარჯვებული გახდა, მესამე ადგილი კი თორსა-ღლვაბის გუნდმა დაიკავა.



ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოდ დასახელებულ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

ფინალურ მატჩებს თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორი ბორის ბერაია ესწრებოდა. სპორტული ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

# სულთათანა

## მანანა კიტია



ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა სდევს, თავისი წილი მზე და იმედი, თავისი წილი ცა და ოცნება, რომელსაც ვერაფრით ვერ შეცვლი.

სიცოცხლე, როგორც უთქვამთ, ერთი წამია, მაგრამ უნდა ყველაფრის შეძლო მოსწრება.

მას, მიუხედავად იმისა, ობლობა, „ცრემლთან შეფიცულობა“ ბავშვობიდან აედევნა, ვერავინ იტყვის, რომ ბედუკეთურად იცხოვრა თავის წილ წუთისოფელში, პირიქით, ცისარტყელასავით ანათებდა თავის ლამაზ ოჯახთან ერთად და ყველაფრის შეძლო მოსწრება...

ჯერ იყო და წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ინსტიტუტი - წითელ დიპლომზე, ოჯახი ღირსეული შექმნა;

ორი სულიერი და ფიზიკური სინატიფის, სიმშვენიერის მატარებელი შვილი აღუზარდა მამულს, არც დაფასება და კ-ლებია–იყო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, არც თანამდებობა–წლების განმავლობაში მიძღვართა სამოძღვროს წინამძღოლი იყო, შემდეგ თბილი ბებია... ასეთი საინტერესო ცხოვრებით გაიარა წუთისოფელი

სანამ ქართული მზე და ცაა და მთვარე ინათებს მანამ, მანანა კიტიას სახელი არსოდეს არ წაიშლება თაობების გონსაწიერიდან.

იგი იყო სიცოცხლეზე ფანატიკურად შეყვარებული ადამინი. მხნე, გაუტეხელი, მტკიცე, ენერგიული, დაუცხრომელი, გამრჯე, დაუზარებელი, ყველაფერში ხალისიანი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, სკოლა მისთვის მეორე ოჯახი გახლდათ.

ახალი ხიბულის სკოლას არასოდეს არ დაავიწყდება მისი მაღალი გემოვნებით მოწყობილი ღონისძიებები, მეცნიერული სემინარები, შემოქმედებითი კონფერენციები.

ჩვენ ღრმად გვჯერა მისი სული ახლა სასუფეველშია და ისევ სკოლაზე ლოცულობს. სანთელი, რომელიც მან თავისი ცოდნის კერას, სკოლას დაუნთო, არასოდეს ჩაქრება.

იძინეთ მშვიდად ქალბატონო.

ყოვლად წმინდა სამებამ ჩვენმა, დააწესოს სული მისი იქ ზესთასოფელში, სადაც მართალნი განისვენებენ.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

აღდგომილი მაცხოვარი ყოფილიყოს შენი უკეთილშობილესი, მართალი, ულამაზესი სულის მფარველი და შემწე ზეციურ საქართველოში.სამარადისო ნათელში დაივანე უკუნითი უკუნისამდე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი, სხვისი გახარების სიხარულით გამთბარი უმწიკვლო სული.

***მაია ქაჯაია,***
***ახალი ხიბულის №1***
***საჯარო სკოლის***
***დირექტორი.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში „მუნიციპალიტეტის მიერ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე ცნობის გაცემის შესახებ“ სარეკომენდაციო ინსტრუქციის განხილვა გაიმართა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე ცნობის გაცემის პროცედურებზე, კრიტერიუმებზე და საქმისწარმოებაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებზე ისაუბრეს.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესი და განხორციელების მექანიზმები განიხილეს.

პროექტი „იყავი აქტიური, იყავი ჩართული“ ხორციელდება პოლონეთის სოლიდარობის ფონდთან თანამშრომლობითა და პოლონეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების განვითარებას ხობისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში.

სამუშაო შეხვედრას მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდა.



ხობის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვისა და შესაბამისი ნორმების შემუშავების მიზნით, მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამოქალაქო ბიუჯეტი მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს თვითონ გადაწყვიტონ, თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა

# 14 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე იმოქმედებს შემდეგი შეზღუდვები:

- შეიზღუდება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. შეზღუდვა არ ეხება საქალაქთაშორისო ტრანსპორტს
- სრულად იზღუდება ფესტივალები, გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და სპორტული შეჯიბრებები, გარდა იმ სპორტული შეჯიბრებებისა, რომლებიც იმართება საერთაშორისო ეგიდით
- იზღუდება ბავშვთა გასართობი ცენტრების მუშაობა
- კვების ობიექტების მუშაობა, ნაცვლად ღამის 00:00 საათისა, დასაშვები იქნება 23:00 საათამდე

*მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის პირობებში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ძირითად ამცრელ დაწესებულებებთან მოსახლეობის რეგულარულ ტრანსპორტირებას

*საჯარო უწყებებს ეძლევათ დავალება, მაქსიმალურად გადაიყვანონ თანამშრომლები მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე და ანალოგიური რეკომენდაციით მიმართავს საბჭო კერძო დამსაქმებლებს;

*ვაქცინაციის მაქსიმალურად გაფართოებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აცრების პროცესში ჩაერთვებიან სამხედრო ექიმებისგან დაკომპლექტებული ბრიგადები; მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის პირობებში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ძირითად ამცრელ დაწესებულებებთან მოსახლეობის რეგულარულ ტრანსპორტირებას;

*ჯანდაცვის უწყება განაგრძობს მუშაობას დამატებითი საწოლების მობილიზების მიმართულებით;

*მაქსიმალურად გამკაცრდება კონტროლი მოქმედი რეგულაციების აღსრულებაზე, მათ შორის ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვაზე, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი და ა.შ. მსგავსი ღონისძიებების მასპინძლობისთვის, ობიექტები ჯარიმდებიან 10 ათასი ლარით, ხოლო განმეორებით დარღვევისას - ექვემდებარებიან დალუქვას;

*ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს დღევანდელ სხდომაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მიმართა რეკომენდაციით, სექტემბრიდან, კვების ობიექტებში, სპა სალონებში, ფიტნესცენტრებსა და მსგავსი ტიპის დაწესებულებებში, პირთა დაშვება შესაძლებელი გახდეს ერთი აცრის ან ვაქცინაციის სრული კურსის, ბოლო 72 საათში ჩატარებული ჩღ ან ბოლო 24 საათში ჩატარებული სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხის საფუძველზე. საბჭო აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოებას ეცნობება.

# ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

მიმდინარე წლის ივლისის ბოლო დღიდან მცირედით, მაგრამ დაიწყო კოვიდ-19-ის ახალი შემთხვევების მატება, რაც დღეს უკვე უფრო ძლიერად იზრდება. ქვეყანაში ამ მომენტისთვისაც არის სერიოზული და რთული ეპიდსიტუაცია, ამ მხრივ საქართველო ლიდერთა ჯგუფშია. ეს გამოწვეულია იმით, რომ შეზღუდვების მოხსნა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არასწორად გაიგო. დარღვეულიქნა აუცილებელი რეკომენდაციების დაცვა. ამას დაემატა ისიც, რომ ლიბერალიზაცია მოხდა აღსრულების მხრივ, გაუქმდა ჯარიმები, ყოველივე ეს გაკეთდა ჰუმანური მოსაზრებით.

კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვითიზოლაციის წესების დაცვას, რაც ძალიან ხშირად დარღვეული იყო დაინფიცირებული მოსახლეობის და მათი კონტაქტების მიერ, მიუხედავად ჯანდაცვის სამსახურების არაერთგზის გაფრთხილებისა.

როგორია უკანასკნელი დღეების სტატისტიკა:

ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით, დაინფიცირებული იყო კოვიდ-19-ის ახალი 133 შემთხვევა, რაც ძალიან დიდი და შემაშფოთებელი რიცხვია, შედარებისთვის მ/წლის ივლისის პირველ 12 დღეში დაფიქსირებული იყო კოვიდ-19-ის 26 ახალი შემთხვევა. ამ დროისთვის მატება არის ძალიან შესამჩნევი. სოფლების მიხედვით ივლისის განვლილ პერიოდში შემთხვევების დიდი რაოდენობა დარეგისტრირდა ქ.ხობში, პირველ ხორგაში, ჭალადიდში, ხეთაში, ნოჯიხევში, ახალ ხიბულაში, პ/მაისში, გურიფულში, ახალსოფელში.



რთული ეპიდემიოლოგიური მდგმარეობიდან გამოსავალი არის შემდეგში, კვლავაც აუცილებელია დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების ძალიან მკაცრად დაცვა, უნდა დავიცვათ სოციალური დისტანცია, მოვერიდოთ შეკრებებს, პირბადე ვატაროთ ყველა დახურულ სივრცეში და ადამიანებთან ახლო კონტაქტებისას, როცა ვერ ხერხდება დისტანციის დაცვა.

კოვიდ-19-ის მხრივ საეჭვო სიმპტომების შემთხვევაში ტესტირებისთვის მივმართოთ ჯანდაცვის ცენტრის ხობის ევექსის კლინიკას, შ.პ.ს. პულსს, ხეთის, ჭალადიდის, პ/მაისის, ბიის, ზემო ქვალონის ამბულატორიებს, ჩავიტაროთ ტესტირება, დავიცვათ თვითიზოლაციის წესები.

ყველაზე მთავარი რეკომენდაცია არის კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ჩატარება. წლის ბოლომდე მოსახლეობის მინიმუმ 60-76 პროცენტი უნდა აიცრას, მხოლოდ ამ შემთხვევაში დავამარცხებთ კოვიდ-19-ს.

კოვიდ-19 საწინააღმდეგო აცრები მიდინარეობს ევექსის კლინიკების ხობის კლინიკაში ყოველდღიურად, ასევე შ.პ.ს. პულსში და შ.პ.ს. „მკურნალში".

ჯანდაცვის ცენტრის მიერ ამცრელი დაწესებულებები ყოველგვარი შეფერხების გარეშე უზრუნველყოფილია ვაქცინების სამი სახეობით: ფაიზერი, სინოფარმი, სინოვაკი.

მიმდინარე წლის აგვისტოს განვლილ პერიოდში კოვიდ-19-ის წინააღმდეგ 12 დღეში აიცრა 597 პირი, შეიმჩნევა მოსახლეობის აქტიურობა, რაც კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, ყოველდღიურად უნდა აიცრას მინუმუმ 180-200 ადამიანი, რაც ძალიან კარგი შედეგი იქნება.

როგორც ჩატარებულმა აცრებმა გვიჩვენა, ეს პროცესი მიმდინარეობს კარგად, ყოველგვარი გართულებების გარეშე, სრულიად უსაფრთხოდ, ამიტომ კიდევ ერთხელ მივმართავთ რეკომენდაციით და მოწოდებით ჩვენს მოსახლეობას, გამოიჩინონ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, გაუფრთხილდნენ თავინთი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების ჯანმრთელობას, ერთმანეთს და ჩაიტარონ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრები, რაც ერთადერთი საშუალებაა კოვიდ-19-ის დამარცხებისთვის აუცილებელი რეკომენდაციების დაცვასთან ერთად.

***ჯუმბერ ტურავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.